სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

8 ა.პოლიტკოვსკაიას ქ.
0186 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 93 27 32
tacsa@moesd.gov.ge

08 / დეკემბერი / 2023 წ.

KA020121684824523

№ **03/1282**

საქართველოს პარლამენტს,

საქართველოს პრეზიდენტს,

საქართველოს პრემიერ-
მინისტრს

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

2022 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრამდე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოვიდა 55 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 1 მოთხოვნა, ვინაიდან ამავე კოდექსის 27-ე სეკუნდა მუხლის საფუძველზე, მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში სრულად დაკმაყოფილდა 49 მოთხოვნა.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 მოთხოვნა.

2023 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, განხილვის სტადიაზეა 5 მოთხოვნა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია ხალიბაური, რომელიც განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობის შემსრულებლად.

რაც შეეხება, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, გაცნობებთ რომ სააგენტო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სააგენტოს მიერ საჯარო მონაცემთა ბაზების შექმნა და პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა (დეს) და ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის საკითხები რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივი გაცემის შემთხვევაში, სააგენტო ეყრდნობოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლს, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია, სააგენტოს მიერ, მიჩნეულ იყო კომერციულ საიდუმლოებად, ამავე კოდექსის 27-ე სეკუნდა მუხლის საფუძველზე.

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

ზემოთ აღნიშნული ხარჯების გაწევას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე